# ხაშურის მოამბე

№11-12 (142-143) 19 მარტი, ორშაბათი, 2018 წელი


## ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სესია

გასულ კვირას, გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის სესია, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი. სესიაზე, საკრებულოს წევრებმა, მიმდინარე აუცილებლობიდან გამომდინარე, ცვლილება შეიტანეს საკრებულოს რამდენიმე ადრემიღებულ დადგენილებაში. ამავე სხდომაზე დამტკიცდა 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ცალკეული ასიგნე-



ბების ფარგლებში განსახორციელებელი გეგმა. დეპუტატებმა იმსჯელეს და ასევე დაამტკიცეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმა(იხილეთ მე-7 გვერდზე) და მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის მოხელეთა 2018 წლის სასწავლო გეგმა. ჩვენს მოქალაქეებს ახსოვთ გასული წლის 16 ოქტომბერს მომხდარი სტიქია, რომლის შედეგადაც, სამწუხაროდ, მოსახლეობის გარკვეულმა რაოდენობამ მატერიალური ზარალი მიიღო. სესიაზე ამ საკითხზეც იყო მსჯელობა და გადაწყდა დაზარალებულ მოქალაქეებზე ფულადი დახმარება. შემდეგ საკითხად გამოტანილი იყო საკრებულოს მეორე კვარტლის სამუშაო გეგმა, რომელიც საკრებულოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს. ამავე სხდომაზე უფლებამოსილად ცნეს ფრაქციების - „ევროპული საქართველო – ლეიბორისტების", „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი – დამოუკიდებლების" და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავჯდომარის მოადგილეები. სხდომაზე გადაწყდა ხაშურში, სანაპიროს ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს მამუკა სულაბერიძის სახელი.



## მიულოცეს ქალთა საერთაშორისო დღე

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს წარმომადგენლებმა, 8 მარტი-ქალთა საერთაშორისო დღე, სასწრაფო სამედიცინო ცენტრში დასაქმებულ ქალბატონებს ტკბილეულით და ყვავილებით მიულოცეს.

„დღევანდელი დღე ქალთა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მიღწევების აღნიშვნის გლობალური დღესასწაულია. საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარებაში ქალის როლი ჩვენთან ყოველთვის დაფასებული იყო. თითოეულ თქვენგანს და ყველა ქალბატონს ვუსურვებ ბედნიერებას და დიდ წარმატებას"-აღნიშნა შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა.

მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მიერ ორგანიზებული ღონისძიება ტრადიციულ სახეს ატარებს და ყოველ წელს, სხვადასხვა პროფესიის ქალბატონების წახალისებას ემსახურება.

## შიდა ქართლში ზაფხულის ტურისტული სეზონისთვის მზადება უკვე დაიწყო - რა კეთდება რეგიონში

შიდა ქართლის რეგიონში, ტურისტულ ზონებში, მათ შორის ბატეთის ტბაზე პირველადი მოხმარებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა მოეწყობა.

ამის შესახებ შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორმა კახა სამხარაძემ განaცხადა.

მისი თქმით, ბატეთის ტბასთან 3-4 კილომეტრიანი გზის რეაბილიტაცია განხორციელდება.

„ძამას ხეობაში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. მცირე მონაკვეთი რჩება დასასრულებელი და უახლოეს პერიოდში მთლიანი ინფრასტრუქტურა იქნება განვითარებული. ეს, რა თქმა უნდა, ტურისტული მიმართულების განვითარებას ხელს შეუწყობს. ბატეთის ტბასთან მისასვლელი 3-4 კილომეტრიანი გზა რჩება, რომელსაც რეაბილიტაცია აუცილებლად ჩაუტარდება. ტურისტების დიდი ნაკადი გვყავს სეზონზე და ამიტომაც პირველადი მოხმარებისსთვის აუცილებელი

ინფრასტრუქტურა მოეწყობა", - აცხადებს სამხარაძე.

მისივე ინფორმაციით, მთელ რეგიონში ტურისტულ ზონებში შესაბამისი



ბილიკები მოეწყობა.

„ტენდერის სახით გამოვავლინეთ კომპანია, რომელმაც ტურისტული მარშუტები უკვე დაადგინა და შესაბამის სამუშაოებს დაიწყებს. მიმდინარე სეზონისთვის ტურტისტული ბილიკები მოეწყობა. ასევე, ტურისტების მოზიდვის მიზნით, მაისის ბოლოს სამდღიან ტურს მოვაწყობთ. რეგიონში უფრო მეტი ტურისტის მოზიდვაა საჭირო, ამისთვის რესურსი და ღირშესანიშნავი ადგილები ბევრი გვაქვს", - აღნიშნავს გუბერნატორი.

კახა სამხარაძის თქმით, ტურისტული მიმართულებით მნიშვნელოვანია სასტუმროების მშენებლობის საკითხიც: „ამ ეტაპზე, ქვიშხეთში, სასტუმროს მშენებლობა მიმდინარეობს. მასში, მინიმუმ, 27 ნომერი განთავსდება. შედარებით დაბალი კლასის და ხელმისაწვდომი იქნება. გარდა ამისა, სასტუმროები შენდება სურამსა და ხაშურში, მათ შორის სურამის ტყე-პარკის ტერიტორიაზე ადგილობრივი ინვესტორი სასტუმროს აშენებს."

ამასთან, გუბერნატორის ინფორმაციით, შიდა ქართლში 2018 წელს ჯამში 33 მილიონი ლარის მოცულობის პროექტი განხორციელდება.

„2018-2021 წლების სამოქმედო გეგმა გაწერილი გვაქვს. რეგიონში სავალი გზებისა და სასმელის წყლის პრობლემა სრულად უნდა აღმოიფხვრას. ჩვენი მიზანია, რომ 2021 წელს განვითარების სხვა ეტაპზე გადავიდეთ. ამ მიზნით მიმდინარე წელს ჩვენს რეგიონში 102 პროექტი განხორციელდება, რომლის საერთო მოცულობა 33 მილიონი ლარი იქნება. ასევე, მნიშვნელოვანია გაზიფიცირების საკითხიც, 310 სოფლიდან 228-ს ბუნებრივი აირი უკვე მიეწოდება. დარჩენილ 82 დასახლებულ პუნქტს უახლოეს წლებში ბუნებრივი აირი ექნებათ. კასპში, თეძამის წყალსაცავის მასშტაბური პროექტი გვაქვს დაწყებული, რომლის ღირებულებაც 60 მილიონი ლარია და 7000 ჰექტარამდე გასარწყავიანების პრობლემას მნიშვნელოვნად მოაგვარებს", - აცხადებს კახა სამხარაძე.

ამასთან, მისივე თქმით, გორში თაფლის გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობა მიმდინარეობს, რომლის ღირებულებაც 2 მილიონნახევრამდე ლარი იქნება. ამასთან, 75 მილიონი დოლარის ინვესტიციის განხორციელება იგეგმება შიდა ქართლში, სადაც 50 მეგავატი სიმძლავრის ქარის ახალი ელექტროსადგურები აშენდება. კახა სამხარაძის თქმით, მიმდინარეობს წინასწარი მოლაპარაკებები კომპანიასთან, რომელიც დაინტერესებულია, რომ რეგიონში მზის პანელებით ელექტროენერგიის გამომუშავება დაიწყოს.

# ხაშურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში

**ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საბიუჯეტო სამსახურმა დაასრულა 2017 წლის საფინანსო ანგარიში, რომელიც წარდგენილია მუნიციპალიტეტის საკრებულოში განსახილველად. უახლოეს დღეებში, საკრებულოს წევრები განიხილავენ აღნიშნულ ანგარიშს. შეაფასებენ მას და შესაბამის დასკვნას დადებენ. დღეს კი, საჯაროობის პრინციპებიდან გამომდინარე, ფართო საზოგადოებასაც ვაძლევთ საშუალებას, გაეცნონ ამ ანგარიშს.**

დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით 2017 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 10 550,0 ათასი ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტის ძირითად საბიუჯეტო ანგარიშზე, 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ნაშთის სახით, ირიცხებოდა 2 465,2 ათასი ლარი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებიდან ნაშთის სახით ირიცხებოდა - 1 582,9 ათასი ლარი. ხოლო საკუთარი შემოსავლებიდან - 882,3 ათასი ლარი,

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების საფუძველზე, მიმდინარე წლის განმავლობაში, დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, 2017 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 18 540,0 ათასი ლარით, რაც 7 990,0 ათასი ლარით აღემატება თავდაპირველად დამტკიცებული ბიუჯეტის მაჩვენებელს.

2017 წლის ბიუჯეტით განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს საკუთარი შემოსულობები (გადასახადები, სხვა შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლები და გათანაბრებითი ტრანსფერი) და საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი ტრანსფერები.

2017 წლის ბიუჯეტის შემოსულობების წლიურმა საკასო შესრულებამ 15 472,4 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (16 411,7 ათასი ლარი) 94,3 %-ს შეადგენს, შემოსულობების გეგმის შესრულება ცალკეული სახეობების მიხედვით კი შემდეგნაირად გადანაწილდა:

გადასახადების გეგმა შესრულდა - 99,5 %-ით (3 083,5 ათასი ლარი), მათ შორის: საშემოსავლო გადასახადი - 87,1 %-ით, საწარმოთა ქონების გადასახადი - 103,8 %-ით, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი - 186,0%-ით, სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი - 102,1 %-ით, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი - 108,9 %-ით.

სხვა შემოსავლების გეგმა შესრულდა - 94,0 %-ით (1 837,7 ათასი ლარი), მათ შორის: შემოსავალი პროცენტებიდან - 104,7 %-ით, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 83,1 %-ით, მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის - 105,2%-ით, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 154,0 %-ით, მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 85.7 %-ით, შემოსავალი ჯარიმებიდან და საურავებიდან - 87.4 %-ით, შემოსავალი მიწის იჯარიდან – 226,0 %-ით, შემოსავალი შენობა-ნაგებობების იჯარიდან – 138.0 %-ით, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი - 160,0 %-ით. ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან (პრივატიზაციიდან) მიღებული შემოსავლების გეგმა შესრულდა – 11,2 %-ით. შემოსულობების საერთო ოდენობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერების ხვედრითი წილი შეადგენს 67,6 %-ს (10 451,8 ათას ლარს), „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხაშურის მუნიციპალიტეტს გათანაბრებითი ტრანსფერის სახით გამოეყო და მიღებულია 5 214,1 ათასი ლარი, ხოლო მიზნობრივი დანიშნულების ტრანსფერიდან დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 229,0 ათასი ლარი.

ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია აგრეთვე საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი ტრანსფერები.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პოექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის №480 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 3 016,3 ათასი ლარი შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად: სპორტკომპლექსის მშენებლობა (გარდამავალი პროექტი), სპორტკომპლექსის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, შუშის ქარხნის დასახლებაში №8 საბავშვო ბაღისათვის ახალი შენობა ნაგებობის მშენებლობა, დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია (გარდამავალი პროექტი), ხაშურში თევდორე მღვდლისა და 9 აპრილის ქუჩაზე მინისტადიონების მოწყობა, სოფელ ალში და ქვემო ოსიაურში გზის მოასფლტება, ხოლო საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვისათვის გამოეყო 174,3 ათასი ლარი, აქედან მიღებულია 3 189,4 ათასი ლარი, ათვისებულია 2 001,8 ათასი ლარი.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პოექტების ფონდიდან, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 ივნისის №1213 განკარგულებით, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 915,0 ათასი ლარი, მიღებულია 914,4 ათასი ლარი, ხოლო ათვისებულია 749,2 ათასი ლარი, აღნიშნული თანხით განხორციელდა ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2017 წლის 10 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები.

„მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 აპრილის №693 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ წაღვლში ბეტონის გზის და სანიაღვრე არხების მოსაწყობად გამოეყო 280,3 ათასი ლარი, რაც მთლიანად იქნა ათვისებული.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პოექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ივლისის №1401 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 640,1 ათასი ლარი, დაბა სურამში კიკვიძისა და ტალახაძის ქუჩების მოასფალტებისათვის, ასევე დაბა სურამში ამაღლების ქუჩაზე ცემენტო-ბეტონის საფარის და სოფელ მცხეთიჯვარში ბეტონის საფარის მოსაწყობად. აღნიშნული თანხიდან მიღებულია 624,7 ათასი ლარი, ათვისებულია 371,9 ათასი ლარი (დანართი №4).

2017 წლის ბიუჯეტის გადასახდელების საკასო შესრულებამ 16 018,5 ათასი ლარი შეადგინა, რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის (18 540,0 ათასი ლარი) 86,4 %-ს შეადგენს.

ბიუჯეტის გადასახდელების გეგმა ეკონომიკური კლასიფიკაციის ჭრილში შემდეგნაირად შესრულდა: მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება - 96,4 %-ით, საქონელი და მომსახურება - 94,6 %-ით, სუბსიდია - 99,1 %-ით, გრანტები - 79,6 %-ით, სოციალური უზრუნველყოფა - 99,2 %-ით, სხვა ხარჯები - 93,6%-ით, არაფინანსური აქტივების ზრდა - 75,1%-ით და ვალდებულებების კლება - 98,4 %-ით (დანართი №5).

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით გასაწევი ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების გეგმის საკასო შესრულება გადანაწილდა შემდეგნაირად: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 95,7 % (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 13,6 %), თავდაცვა - 84,6 % (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 0,7 %), ეკონომიკური საქმიანობა - 82,9 % (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 19,2 %), გარემოს დაცვა - 99,5 % (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 7,4 %), საბინაო–კომუნალური მეურნეობა – 91,3 % (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 13,4 %), ჯანმრთელობის დაცვა - 99,3 % (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 0,8 %), დასვენება, კულტურა და რელიგია - 76,4 % (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 23,8 %), განათლება - 85,2 % (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 14,4 %), სოციალური დაცვა - 98,5 % (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯში 6,8 %) (დანართი №6).

მუნიციპალიტეტის ძირითად საბიუჯეტო ანგარიშზე, საანგარიშო პერიოდის ბოლოს (2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით), ნაშთის სახით, ირიცხებოდა 1 919,1 ათასი ლარი, აღნიშნული ნაშთი მთლიანად მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ სახსრებს, და მათი გამოყენება მიზნობრიობის დაცვით გათვალისწინებულია 2018 წლის ბიუჯეტით.

2017 წლის ბიუჯეტით დაფინანსდა აგრეთვე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ განხორციელებული პროგრამები და ქვეპროგრამები რომელთა საკასო შესრულებამ 4 655,2 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (4 694,1 ათასი ლარი) 99,2 %-ს შეადგენს. (დანართი №7).

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 19 დეკემბრის №35 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვრა 30,0 ათასი ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდის განკარგვა ხორციელდება მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ გამოცემული სამართლებლივი აქტების საფუძველზე. ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 16 თებერვლის №486 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა ხაშურის მუნიციპალიტეტის ხალების და ოსიაურის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფლებთან დამაკავშირებელი დაკიდებული ტიპის საავტომობილო ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები, აგრეთვე მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 3 ივლისი № 1721 და 9 აგვისტოს № 1941 ბრძანების საფუძველზე, მუნიციპალიტეტმა დახმარება გაუწია ხაშურში, გაგარინის ქუჩა №84-ში მცხოვრებ ასმათ მეზურნიშვილის და ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქემფერში მცხოვრებ, აწგარდაცვლილ ვასილ ღონღაძის ოჯახებს.

ამრიგად, ხაშურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულმა ფინანსურმა რესურსებმა მუნიციპალიტეტს მისცა ბიუჯეტის გადასახდელების გეგმით გათვალისწინებული პროგრამის, ღონისძიებების და ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების საშუალება, და შესაბამისად, ამ პროგრამების ძირითადი მიზნების განხორციელების შესაძლებლობა.

## ხაშურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ბალანსი

| დასახელება | 2016 წლის გეგმა | | | 2016 წლის ფაქტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 15 526,0 | 5 026,0 | 10 500,0 | 15 373,0 | 5 008,7 | 10 364,3 |
| გადასახადები | 3 100,0 | 0,0 | 3 100,0 | 3 083,5 | 0,0 | 3 083,5 |
| გრანტები | 10 469,1 | 5 026,0 | 5 443,1 | 10 451,8 | 5 008,7 | 5 443,1 |
| სხვა შემოსავლები | 1 956,9 | 0,0 | 1 956,9 | 1 837,7 | 0,0 | 1 837,7 |
| | | | | | | |
| ხარჯები | 9 009,0 | 132,2 | 8 876,7 | 8 793,5 | 130,9 | 8 662,6 |
| შრომის ანაზღაურება | 1 655,1 | 0,0 | 1 655,1 | 1 596,0 | 0,0 | 1 596,0 |
| საქონელი და მომსახურება | 1 018,6 | 0,0 | 1 018,6 | 963,7 | 0,0 | 963,7 |
| ძირითადი კაპიტალის მომსახურება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| პროცენტი | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სუბსიდიები | 4 728,1 | 0,0 | 4 728,1 | 4 687,7 | 0,0 | 4 687,7 |
| გრანტები | 23,0 | 0,0 | 23,0 | 18,3 | 0,0 | 18,3 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 800,6 | 0,0 | 800,6 | 794,4 | 0,0 | 794,4 |
| სხვა ხარჯები | 783,6 | 132,2 | 651,4 | 733,4 | 130,9 | 602,4 |
| | | | | | | |
| საოპერაციო სალდო | 6 517,0 | 4 893,8 | 1 623,3 | 6 579,5 | 4 877,8 | 1 701,7 |
| | | | | | | |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 8 375,0 | 5 960,8 | 2 414,3 | 6 859,6 | 4 319,4 | 2 540,2 |
| ზრდა | 9 260,8 | 5 960,8 | 3 300,0 | 6 958,9 | 4 319,4 | 2 639,6 |
| კლება | 885,7 | 0,0 | 885,7 | 99,4 | 0,0 | 99,4 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მთლიანი სალდო | -1 858,0 | -1 067,0 | -791,0 | -280,1 | 558,4 | -838,5 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | -2 128,3 | -1 246,0 | -882,3 | -546,1 | 382,0 | -928,1 |
| ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 382,0 | 382,0 | 0,0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 382,0 | 382,0 | 0,0 |
| ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სესხები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სხვა დებიტორული დავალიანებები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| კლება | 2 128,3 | 1 246,0 | 882,3 | 928,1 | 0,0 | 928,1 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 2 128,3 | 1 246,0 | 882,3 | 928,1 | 0,0 | 928,1 |
| ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სესხები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სხვა დებიტორული დავალიანებები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ვალდებულებების ცვლილება | -270,2 | -179,0 | -91,3 | -266,0 | -176,4 | -89,6 |
| ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| საგარეო | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| საშინაო | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| კლება | 270,2 | 179,0 | 91,3 | 266,0 | 176,4 | 89,6 |
| საგარეო | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| საშინაო | 270,2 | 179,0 | 91,3 | 266,0 | 176,4 | 89,6 |
| ბალანსი | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |

დანართი №3

## ხაშურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსულობები

| დასახელება | 2017 წლის გეგმა | | | 2017 წლის ფაქტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები |
| **შემოსულობები** | **16 411,7** | **5 026,0** | **11 385,7** | **15 472,4** | **5 008,7** | **10 463,7** |
| **შემოსავლები** | **15 526,0** | **5 026,0** | **10 500,0** | **15 373,0** | **5 008,7** | **10 364,3** |
| **არაფინანსური აქტივების კლება** | **885,7** | **0,0** | **885,7** | **99,4** | **0,0** | **99,4** |
| **შემოსავლები** | **15 526,0** | **5 026,0** | **10 500,0** | **15 373,0** | **5 008,7** | **10 364,3** |
| **გადასახადები** | **3 100,0** | **0,0** | **3 100,0** | **3 083,5** | **0,0** | **3 083,5** |
| **საშემოსავლო გადასახადი** | **1 100,0** | | **1 100,0** | **958,2** | | **958,2** |
| **ქონების გადასახადი** | **2 000,0** | **0,0** | **2 000,0** | **2 125,3** | **0,0** | **2 125,3** |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 1 240,0 | | 1 240,0 | 1 286,7 | | 1 286,7 |
| უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 0,0 | | | 6,3 | | 6,3 |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 20,0 | 0,0 | 20,0 | 37,2 | 0,0 | 37,2 |
| ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე | 15,0 | | 15,0 | -5,9 | | -5,9 |
| არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქოენბაზე | 5,0 | | 5,0 | 43,1 | | 43,1 |
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 160,0 | 0,0 | 160,0 | 163,3 | 0,0 | 163,3 |
| ფიზიკურ პირებიდან | 150,0 | | 150,0 | 111,1 | | 111,1 |
| იურიდიულ პირებიდან | 10,0 | | 10,0 | 52,2 | | 52,2 |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 580,0 | 0,0 | 580,0 | 631,9 | 0,0 | 631,9 |
| ფიზიკურ პირებიდან | 30,0 | | 30,0 | 57,3 | | 57,3 |
| იურიდიულ პირებიდან | 550,0 | | 550,0 | 574,6 | | 574,6 |
| **სხვა გადასახადები** | **0,0** | | | **0,0** | | |
| **გრანტები** | **10 469,1** | **5 026,0** | **5 443,1** | **10 451,8** | **5 008,7** | **5 443,1** |
| **სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი** | **10 469,1** | **5 026,0** | **5 443,1** | **10 451,8** | **5 008,7** | **5 443,1** |
| ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები | **5 443,1** | **0,0** | **5 443,1** | **5 443,1** | **0,0** | **5 443,1** |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | 5 214,1 | | 5 214,1 | 5 214,1 | | 5 214,1 |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | 229,0 | | 229,0 | 229,0 | | 229,0 |
| **ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები** | **5 026,0** | **5 026,0** | **0,0** | **5 008,7** | **5 008,7** | **0,0** |
| საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა | 4 745,7 | 4 745,7 | | 4 728,4 | 4 728,4 | |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 0,0 | | | 0,0 | | |
| საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხა | 0,0 | | | 0,0 | | |
| მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი | 280,3 | 280,3 | | 280,3 | 280,3 | |
| **სხვა შემოსავლები** | **1 956,9** | **0,0** | **1 956,9** | **1 837,7** | **0,0** | **1 837,7** |
| **შემოსავლები საკუთრებიდან** | **320,0** | **0,0** | **320,0** | **276,3** | **0,0** | **276,3** |
| **პროცენტები** | 15,0 | | 15,0 | 15,7 | | 15,7 |
| **რენტა** | **305,0** | **0,0** | **305,0** | **260,6** | **0,0** | **260,6** |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 300,0 | | 300,0 | 249,4 | | 249,4 |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 5,0 | | 5,0 | 11,3 | | 11,3 |
| **საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია** | **447,9** | **0,0** | **447,9** | **512,9** | **0,0** | **512,9** |
| **ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები** | **426,3** | **0,0** | **426,3** | **483,1** | **0,0** | **483,1** |
| სანებართვო მოსაკრებელი (მშენებლობის ნებართვა) | 75,3 | | 75,3 | 79,2 | | 79,2 |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | 1,0 | | 1,0 | 1,6 | | 1,6 |
| სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი | 150,0 | | 150,0 | 231,0 | | 231,0 |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 200,0 | | 200,0 | 171,3 | | 171,3 |
| **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება** | **21,6** | **0,0** | **21,6** | **29,8** | **0,0** | **29,8** |
| შემოსავლები მომსახურების გაწევიდან | 21,6 | | 21,6 | 29,8 | | 29,8 |
| **ჯარიმები, სანქციები და საურავები** | **1 154,0** | | **1 154,0** | **1 008,2** | | **1 008,2** |
| **შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები** | **35,0** | | **35,0** | **40,3** | | **40,3** |
| **არაფინანსური აქტივების კლება** | **885,7** | **0,0** | **885,7** | **99,4** | **0,0** | **99,4** |
| **ძირითადი აქტივები** | **0,0** | | | **5,6** | | **5,6** |
| **არაწარმოებული აქტივები** | **885,7** | **0,0** | **885,7** | **93,7** | **0,0** | **93,7** |
| მიწა | 885,7 | | 885,7 | 93,7 | | 93,7 |

## 2017 წლის ბიუჯეტის გადასახდელები

| ორგ. კოდი | დასახელება | 2017 წლის გეგმა | | | 2017 წლის ფაქტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| | ხაშურის მუნიციპალიტეტი | 18 540,0 | 6 271,9 | 12 268,0 | 16 018,5 | 4 626,7 | 11 391,8 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 150 | 0 | 150 | 150 | 0 | 150 |
| | ხარჯები | 9 009,0 | 132,2 | 8 876,7 | 8 793,5 | 130,9 | 8 662,6 |
| | შრომის ანაზღაურება | 1 655,1 | 0,0 | 1 655,1 | 1 596,0 | 0,0 | 1 596,0 |
| | საქონელი და მომსახურება | 1 018,6 | 0,0 | 1 018,6 | 963,7 | 0,0 | 963,7 |
| | სუბსიდიები | 4 728,1 | 0,0 | 4 728,1 | 4 687,7 | 0,0 | 4 687,7 |
| | გრანტები | 23,0 | 0,0 | 23,0 | 18,3 | 0,0 | 18,3 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 800,6 | 0,0 | 800,6 | 794,4 | 0,0 | 794,4 |
| | სხვა ხარჯები | 783,6 | 132,2 | 651,4 | 733,4 | 130,9 | 602,4 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 9 260,8 | 5 960,8 | 3 300,0 | 6 958,9 | 4 319,4 | 2 639,6 |
| | ძირითადი აქტივები | 9 259,8 | 5 960,8 | 3 299,0 | 6 957,2 | 4 319,4 | 2 637,8 |
| | არაწარმოებული აქტივები | 1,0 | 0,0 | 1,0 | 1,8 | 0,0 | 1,8 |
| | ვალდებულებების კლება | 270,2 | 179,0 | 91,3 | 266,0 | 176,4 | 89,6 |
| | საშინაო | 270,2 | 179,0 | 91,3 | 266,0 | 176,4 | 89,6 |
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 2 244,3 | 0,0 | 2 244,3 | 2 146,9 | 0,0 | 2 146,9 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 140 | 0 | 140 | 140 | 0 | 140 |
| | ხარჯები | 2 162,9 | 0,0 | 2 162,9 | 2 068,9 | 0,0 | 2 068,9 |
| | შრომის ანაზღაურება | 1 567,6 | 0,0 | 1 567,6 | 1 509,7 | 0,0 | 1 509,7 |
| | საქონელი და მომსახურება | 488,6 | 0,0 | 488,6 | 459,0 | 0,0 | 459,0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 24,7 | 0,0 | 24,7 | 23,3 | 0,0 | 23,3 |
| | სხვა ხარჯები | 82,0 | 0,0 | 82,0 | 76,9 | 0,0 | 76,9 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 75,1 | 0,0 | 75,1 | 71,9 | 0,0 | 71,9 |
| | ძირითადი აქტივები | 75,1 | 0,0 | 75,1 | 71,9 | 0,0 | 71,9 |
| | ვალდებულებების კლება | 6,3 | 0,0 | 6,3 | 6,1 | 0,0 | 6,1 |
| | საშინაო | 6,3 | 0,0 | 6,3 | 6,1 | 0,0 | 6,1 |
| 01 01 | მუნიციპალიტეტის საკრებულო | 572,0 | 0,0 | 572,0 | 552,0 | 0,0 | 552,0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 21 | | 21 | 21 | | 21 |
| | ხარჯები | 561,6 | 0,0 | 561,6 | 541,5 | 0,0 | 541,5 |
| | შრომის ანაზღაურება | 371,5 | 0,0 | 371,5 | 367,2 | 0,0 | 367,2 |
| | საქონელი და მომსახურება | 115,9 | 0,0 | 115,9 | 101,5 | 0,0 | 101,5 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 4,2 | 0,0 | 4,2 | 3,0 | 0,0 | 3,0 |
| | სხვა ხარჯები | 69,9 | 0,0 | 69,9 | 69,9 | 0,0 | 69,9 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 10,4 | 0,0 | 10,4 | 10,4 | 0,0 | 10,4 |
| | ძირითადი აქტივები | 10,4 | 0,0 | 10,4 | 10,4 | 0,0 | 10,4 |
| | ვალდებულებების კლება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | საშინაო | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 01 02 | მუნიციპალიტეტის გამგეობა | 1 668,0 | 0,0 | 1 668,0 | 1 593,3 | 0,0 | 1 593,3 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 119 | | 119 | 119 | | 119 |
| | ხარჯები | 1 598,6 | 0,0 | 1 598,6 | 1 527,4 | 0,0 | 1 527,4 |
| | შრომის ანაზღაურება | 1 196,1 | 0,0 | 1 196,1 | 1 142,6 | 0,0 | 1 142,6 |
| | საქონელი და მომსახურება | 372,7 | 0,0 | 372,7 | 357,5 | 0,0 | 357,5 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 20,5 | 0,0 | 20,5 | 20,3 | 0,0 | 20,3 |
| | სხვა ხარჯები | 9,4 | 0,0 | 9,4 | 7,1 | 0,0 | 7,1 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 64,7 | 0,0 | 64,7 | 61,5 | 0,0 | 61,5 |
| | ძირითადი აქტივები | 64,7 | 0,0 | 64,7 | 61,5 | 0,0 | 61,5 |
| | ვალდებულებების კლება | 4,7 | 0,0 | 4,7 | 4,4 | 0,0 | 4,4 |
| | საშინაო | 4,7 | 0,0 | 4,7 | 4,4 | 0,0 | 4,4 |
| 01 03 | სარეზერვო ფონდი | 2,7 | 0,0 | 2,7 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | ხარჯები | 2,7 | 0,0 | 2,7 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | სხვა ხარჯები | 2,7 | 0,0 | 2,7 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 01 04 | წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა | 1,6 | 0,0 | 1,6 | 1,6 | 0,0 | 1,6 |
| | ვალდებულებების კლება | 1,6 | 0,0 | 1,6 | 1,6 | 0,0 | 1,6 |
| | საშინაო | 1,6 | 0,0 | 1,6 | 1,6 | 0,0 | 1,6 |
| 02 00 | თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 130,0 | 0,0 | 130,0 | 110,0 | 0,0 | 110,0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 10 | 0 | 10 | 10 | 0 | 10 |
| | ხარჯები | 127,0 | 0,0 | 127,0 | 107,0 | 0,0 | 107,0 |
| | შრომის ანაზღაურება | 87,5 | 0,0 | 87,5 | 86,3 | 0,0 | 86,3 |
| | საქონელი და მომსახურება | 39,5 | 0,0 | 39,5 | 20,7 | 0,0 | 20,7 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 3,0 | 0,0 | 3,0 | 3,0 | 0,0 | 3,0 |
| | ძირითადი აქტივები | 3,0 | 0,0 | 3,0 | 3,0 | 0,0 | 3,0 |
| | ვალდებულებების კლება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | საშინაო | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 02 01 | ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა | 130,0 | 0,0 | 130,0 | 110,0 | 0,0 | 110,0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 10 | | 10 | 10 | | 10 |
| | ხარჯები | 127,0 | 0,0 | 127,0 | 107,0 | 0,0 | 107,0 |
| | შრომის ანაზღაურება | 87,5 | 0,0 | 87,5 | 86,3 | 0,0 | 86,3 |
| | საქონელი და მომსახურება | 39,5 | 0,0 | 39,5 | 20,7 | 0,0 | 20,7 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 3,0 | 0,0 | 3,0 | 3,0 | 0,0 | 3,0 |
| | ძირითადი აქტივები | 3,0 | 0,0 | 3,0 | 3,0 | 0,0 | 3,0 |
| | ვალდებულებების კლება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | საშინაო | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 03 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 10 258,9 | 5 194,9 | 5 064,0 | 8 381,9 | 3 842,5 | 4 539,4 |
| | ხარჯები | 2 590,5 | 107,2 | 2 483,3 | 2 535,3 | 105,9 | 2 429,4 |
| | საქონელი და მომსახურება | 479,8 | 0,0 | 479,8 | 474,9 | 0,0 | 474,9 |
| | სუბსიდიები | 1 779,0 | 0,0 | 1 779,0 | 1 767,8 | 0,0 | 1 767,8 |
| | სხვა ხარჯები | 331,7 | 107,2 | 224,5 | 292,6 | 105,9 | 186,7 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 7 606,1 | 5 069,7 | 2 536,4 | 5 785,4 | 3 718,6 | 2 066,8 |
| | ძირითადი აქტივები | 7 605,1 | 5 069,7 | 2 535,4 | 5 783,6 | 3 718,6 | 2 065,0 |
| | არაწარმოებული აქტივები | 1,0 | 0,0 | 1,0 | 1,8 | 0,0 | 1,8 |
| | ვალდებულებების კლება | 62,4 | 18,0 | 44,4 | 61,2 | 18,0 | 43,2 |
| | საშინაო | 62,4 | 18,0 | 44,4 | 61,2 | 18,0 | 43,2 |
| 03 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა | 2 655,3 | 1 605,9 | 1 049,4 | 2 274,3 | 1 318,9 | 955,4 |
| | ხარჯები | 330,0 | 0,0 | 330,0 | 329,1 | 0,0 | 329,1 |
| | საქონელი და მომსახურება | 30,0 | 0,0 | 30,0 | 29,1 | 0,0 | 29,1 |
| | სუბსიდიები | 300,0 | 0,0 | 300,0 | 300,0 | 0,0 | 300,0 |
| | სხვა ხარჯები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 2 325,3 | 1 605,9 | 719,4 | 1 945,2 | 1 318,9 | 626,3 |
| | ძირითადი აქტივები | 2 325,3 | 1 605,9 | 719,4 | 1 945,2 | 1 318,9 | 626,3 |
| 03 01 01 | გზების მშენებლობის, რეკონსტრუციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები | 2 522,6 | 1 605,9 | 916,7 | 2 162,5 | 1 318,9 | 843,6 |
| | ხარჯები | 300,0 | 0,0 | 300,0 | 300,0 | 0,0 | 300,0 |
| | სუბსიდიები | 300,0 | | 300,0 | 300,0 | | 300,0 |
| | სხვა ხარჯები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 2 222,6 | 1 605,9 | 616,7 | 1 862,5 | 1 318,9 | 543,6 |
| | ძირითადი აქტივები | 2 222,6 | 1 605,9 | 616,7 | 1 862,5 | 1 318,9 | 543,6 |
| 03 01 02 | თვითმმართველობის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის დაგეგმარების და საგზაო ნიშნების მოწესრიგების ხარჯები | 132,7 | 0,0 | 132,7 | 111,8 | 0,0 | 111,8 |
| | ხარჯები | 30,0 | 0,0 | 30,0 | 29,1 | 0,0 | 29,1 |
| | საქონელი და მომსახურება | 30,0 | 0,0 | 30,0 | 29,1 | 0,0 | 29,1 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 102,7 | 0,0 | 102,7 | 82,7 | 0,0 | 82,7 |
| | ძირითადი აქტივები | 102,7 | 0,0 | 102,7 | 82,7 | 0,0 | 82,7 |
| 03 02 | კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 3 251,7 | 731,2 | 2 520,5 | 3 078,6 | 593,8 | 2 484,8 |
| | ხარჯები | 1 924,9 | 107,2 | 1 817,7 | 1 906,6 | 105,9 | 1 800,7 |
| | საქონელი და მომსახურება | 442,1 | 0,0 | 442,1 | 441,9 | 0,0 | 441,9 |
| | სუბსიდიები | 1 200,0 | 0,0 | 1 200,0 | 1 194,2 | 0,0 | 1 194,2 |
| | სხვა ხარჯები | 282,8 | 107,2 | 175,6 | 270,6 | 105,9 | 164,7 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1 298,4 | 611,8 | 686,7 | 1 143,6 | 475,6 | 668,0 |
| | ძირითადი აქტივები | 1 298,4 | 611,8 | 686,7 | 1 143,6 | 475,6 | 668,0 |
| | ვალდებულებების კლება | 28,3 | 12,3 | 16,1 | 28,3 | 12,3 | 16,1 |
| | საშინაო | 28,3 | 12,3 | 16,1 | 28,3 | 12,3 | 16,1 |
| 03 02 01 | გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 657,4 | 0,0 | 657,4 | 657,3 | 0,0 | 657,3 |
| | ხარჯები | 655,8 | 0,0 | 655,8 | 655,7 | 0,0 | 655,7 |
| | საქონელი და მომსახურება | 401,6 | 0,0 | 401,6 | 401,5 | 0,0 | 401,5 |
| | სუბსიდიები | 254,2 | | 254,2 | 254,2 | | 254,2 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1,6 | 0,0 | 1,6 | 1,6 | 0,0 | 1,6 |
| | ძირითადი აქტივები | 1,6 | 0,0 | 1,6 | 1,6 | 0,0 | 1,6 |
| 03 02 02 | დასუფთავების ღონისძიებები | 866,0 | 0,0 | 866,0 | 866,0 | 0,0 | 866,0 |
| | ხარჯები | 866,0 | 0,0 | 866,0 | 866,0 | 0,0 | 866,0 |
| | საქონელი და მომსახურება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | სუბსიდიები | 866,0 | | 866,0 | 866,0 | | 866,0 |
